ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-81

„ 26 „ თებერვალი 2018 წ.

„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.16.014.183, 01.14.16.014.182, 01.14.16.014.181, 01.14.16.014.180) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 აგვისტოს №1-1706 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 12 თებერვლის №60-01180433782 წერილით წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №№01.14.16.014.183, 01.14.16.014.182, 01.14.16.014.181, 01.14.16.014.180) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 1 აგვისტოს №1-1706 ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.014.074, №01.14.16.014.073, №01.14.16.014.072, №01.14.16.014.071) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.014.074, №01.14.16.014.073, №01.14.16.014.072, №01.14.16.014.071), ოთხი ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლის განსათავსებლად, განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=1,0.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ილია ელოშვილს.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი. №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200